პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 იანვარი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 9 (9420) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სანდრო ახმეტელი — 100

# ხელოვანის გატაცება

იბეჭდება პირველად

სანდრო ახმეტელმა, დიდმა რეჟისორმა, საბჭოთა ეროვნული თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და თვალსაჩინო მოღვაწემ, ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე შეძლო თავისი სპექტაკლებით — „ღლვევა", „ანზორი", „ლამარა", „ქართა ქალაქი", „თეთნულდი", „ყაჩაღები" — ახალი სიტყვა ეთქვა ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში, მის სახელთანაა დაკავშირებული რუსთაველის თეატრის უდიდესი გამარჯვება 1930 წელს მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე და ამ კოლექტივის საერთაშორისო აღიარება.

ბიოგრაფი ძუნწ ცნობებს გვაწვდის ახმეტელის სხვა გატაცებების შესახებ, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საშუალო სიმაღლისა და ძლიერი აღნაგობის მქონე ახალგაზრდა კაცი სპორტისადმი გულგრილი არ ყოფილა.

ს. ახმეტელი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ავიასამოდელო სპორტს გაუტაცნია. 1910 წლის „სახალხო გაზეთის" დამატებაში დაიბეჭდა მფრინავი აპარატის და ახალგაზრდა გამომგონებლის ფოტოსურათი. ს. ახმეტელმა თავის ძიებებს სპეციალური წერილებიც კი უძღვნა. ამ ფაქტს წიგნში „ცხოვრება სანდრო ახმეტელისა" მხატვრულად აღწერს პროფესორი ვ. კიკნაძე. თავის პირველ წერილში „ჩემი აეროპლანი" ს. ახმეტელი ამჟღავნებს იმდროინდელი ევროპელი კონსტრუქტორების მიერ აგებული მოდელების ცოდნას, გამოთქვამს აზრს, რომ მონოპლანების კონსტრუქცია ფრინველთა ფრენის მიბაძვის პრინციპზეა აგებული და საჭიროა მათი შემდგომი დახვეწა. შემდეგ იგი თავის საფრენ აპარატს აღწერს. „მოდელის ერთი მეოთხედი ნამდვილი ჰაეროპლანისა დავიჭირე" — წერს იგი. ამიტომ მისი მოდელი სხვა, 5-არშინიანი პლანერებისაგან განსხვავებით, სიგრძით

იხ. მე-2 გვ.

„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კრივის სკოლამ დიდი ხანია გაითქვა სახელი საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ამ სკოლაში აღიზარდნენ და იხვეწებოდნენ ბოქსიორები — ალბერტ და რუდიკ კაზანჯიანები, ნიკა სეთური...

ოსტატების კვალზე იზრდება სკოლის 400-მდე ნორჩი მოკრივე, რომელთა დაოსტატებას ემსახურებიან უფროსი მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი, მწვრთნელები იური შეპეტკოვი, ოთარ რაგიმოვი, სოსო კორძახია და სხვები. ალექსანდრე კოტორაშვილის მიერ გადაღებულ ფოტოზე სწორედ ამ სკოლის ნორჩი მოკრივეების ვარჯიშის ფრაგმენტია აღბეჭდილი.



ცნობები ჰასტინგსიდან

## მაყურებელი კვლავ აღტაცებულია

ჰასტინგსის (ინგლისი) მოჭადრაკე ვაჟთა საშობაო ტურნირი დასასრულს უახლოვდება. კვლავ ჩინებულად თამაშობს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, შეჯიბრებაში მონაწილე ერთადერთი ქალი მაია ჩიბურდანიძე. იგი X ტურში შეხვდა ისლანდიელ მარგეირ პეტურსონს. პარტია გადაიდო ჩიბურდანიძის მატერიალური უპირატესობით. გუშინ ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. XI და XII ტურებში მსოფლიო ჩემპიონი დაუზავდა სტიუარტ კონკუესტსა და დიდოსტატ მიურეი ჩანდლერს (ორივე — ინგლისი). მაგრამ ყაიმიც არის და ყაიმიც. კონკუესტთან შეხვედრაში მაია ისე ოსტატურად იცავდა თავს, რომ პარტიის დამთავრების შემდეგ მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა ქართველი დიდოსტატი.

მეორე თბილისელმა დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა X ტურში მოუგო კონკუესტს, XI და XII ტურებში კი დაუზავდა ჩანდლერსა და საბჭოთა დიდოსტატს სმბატ ლპუტიანს. თავის მხრივ ლპუტიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჯონათან სპილმენთან, ხოლო შემდეგ ფარ-ხმალი დააყრევინა ჯონათან მესტელს (ორივე — ინგლისი).

ტურნირის ლიდერი დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი X და XII ტურებში დაუზავდა უნგრელ დიდოსტატს ანდრაშ ადორიანსა და მესტელს, XI ტურში კი მოუგო სპილმენს.

ჯიმ პლასკეტ (ინგლისი) — ლარსენის III ტურის პარტია ინგლისელი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა.

ბოლო ტურის წინ ლარსენს, ლპუტიანსა და სპილმენს 7,5-7,5 ქულა აქვთ, გუფელდს — 7 (1), ჩიბურდანიძესა და ჩანდლერს — 7-7, მესტელსა და პლასკეტს — 6-6.

ბოლო ტურში ჩიბურდანიძე შავი ფიგურებით ხვდება ლპუტიანს, ლარსენი — გუფელდს, ადორიანი — სპილმენს, ჩანდლერი — ჯულიან ჰოჯსონს, პიტერ ლარჯი — მესტელს, კონკუესტი — პლასკეტს.

საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები

## დავიდენკო და ჩევარდოვი უძლიერესები იყვნენ

ლვოვი. მიმდინარე სეზონში ველოსიპედისტთა ერთ-ერთი პირველი შეჯიბრება ამ ქალაქის ცენტრალურ ტრეკზე ჩატარდა — 1969-1970 წწ. დაბადებულთა საკავშირო პირველობა. 4 კილომეტრზე წყვილთა რბოლაში წარმატებით იასპარეზეს ოლიმპიური მომზადების ცენტრის („ივერია") წარმომადგენლებმა ვასილ დავიდენკომ („სპარტაკი") და მიხეილ ჩევარდოვმა (თბილისის განათლების განყოფილება, „დინამო"). ორივე ჩვენი ველოსიპედისტი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. გამარჯვებულებმა დისტანციის გავლას 4.48,5 მოანდომეს.

## ნორჩმა დინამოელებმა იყოჩაღეს

ქარბა ხანია თბილისის „დინამოს" ნორჩ მოცურავეებს ასე არ უყოჩაღიათ. ოდესაში, ზამთრის არდადეგების დღეებში გამართულ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ჩვენმა გუნდმა 386 ქულა მოაგროვა და ყველას აჯობა. პირად პირველობაში კი ჩვენმა სპორტსმენებმა 9 პირველი ადგილი დაიკავეს. თავი გამოიჩინა გია ბახტაძემ, რომელმაც 100 და 200 მეტრზე ბატერფლაის (შესაბამისად 1.03,9 და 2. 15,2), 200 მეტრზე ბრასის სტილითა (2. 36,4) და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა (4.57,3).

სამი გამარჯვება მოიპოვა მისმა თანაგუნდელმა თემურ გოგიბერიძემ. იგი უძლიერესი იყო 200 მ. თავისუფალი სტილითა (2.08,0) და 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1. 05, 1 და 2. 19,9).

თითო გამარჯვება მოიპოვეს ზვიად მაისურაძემ და ნელი ზოსიმოვამ. ზვიადი უძლიერესი იყო 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში (31,4), ნელიმ კი ამავე დისტანციაზე ბატერფლაის სტილით აჯობა ყველას (34.3).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების

## გრაფიკი

(ეს ასპარეზობა ტარდება, როგორც სპორტის ცალკეულ სახეობებში საქართველოს პირველობა გოგონათა და ჭაბუკთა შორის)

| თარიღი | სახეობა | ადგილი |
|---|---|---|
| 22-28 იანვარი. | წყალში ხტომა | თბილისი |
| 4-8 თებერვალი. | ბადმინტონი | ბათუმი |
| 5-8 თებერვალი. | კლას. ჭიდაობა (I ზონა) | რუსთავი |
| 6-14 თებერვალი. | წყალბურთი | თბილისი |
| 10-15 თებერვალი. | მაგიდის ჩოგბურთი | სოხუმი |
| 12-16 თებერვალი. | კლას. ჭიდაობა (II ზონა) | ბათუმი |
| 2-5 მარტი. | კლასიკური ჭიდაობა ფინალი | ქუთაისი |
| 26-31 მარტი. | ტყვიის სროლა | სოხუმი |
| 2-5 აპრილი. | თავის. ჭიდაობა (I ზონა) | ქუთაისი |
| 2-5 აპრილი. | ძიუდო (I ზონა) | თელავი |
| 9-12 აპრილი. | ძიუდო (II ზონა) | სოხუმი |
| 9-12 აპრილი. | თავის. ჭიდაობა (II ზონა) | სიღნაღი |
| 9-11 აპრილი. | ბატუტზე ხტომა | თბილისი |
| 2-6 აპრილი. | სამბო (I ზონა) | თელავი |
| 2-6 აპრილი. | სამბო (II ზონა) | გორი |
| 2-6 აპრილი. | სამბო (III ზონა) | ქუთაისი |
| 17-19 აპრილი. | აკადემიური ნიჩბოსნობა | ფოთი |
| 20-25 აპრილი. | სამბო — ფინალი | ქუთაისი |
| 20-26 აპრილი. | კრივი | გორი |
| 24-26 აპრილი. | ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩ. | ფოთი |
| 24-27 აპრილი. | ძიუდო — ფინალი | თელავი |
| 23-26 აპრილი. | სინქრონული ცურვა | თბილისი |
| 11-20 მაისი. | მრავალდღიანი ველორბ. მარ. | მიხედვით |
| 14-17 მაისი. | თავის. ჭიდაობა — ფინალი | ბათუმი |
| 15-17 მაისი. | ძალოსნობა | ცხინვალი |
| 20-24 მაისი. | ცხენოსნობა | ზუგდიდი. |
| 21-26 მაისი. | ცურვა | თბილისი-ხობი |
| 1-6 ივნისი. | თანამედროვე ხუთჭიდი | თბილისი |
| 3-7 ივნისი. | ჩოგბურთი | სოხუმი |
| 1-5 ივლისი. | ველოსპორტი (ტრეკი) | თბილისი |
| 10-17 ივლისი. | აფროსნობა | ფოთი |
| 4-7 სექტემბერი. | ქარ. ჭიდაობა (I ზონა) | ცხინვალი |
| 10-21 სექტემბერი. | ჭადრაკი | თბილისი |
| 18-21 სექტემბერი. | ქარ. ჭიდაობა (II ზონა) | ტყიბული |
| 20-27 სექტემბერი. | ფარიკაობა | ბათუმი-ქუთაისი |
| 22-27 სექტემბერი. | სპორტული ტანვარჯიში | ბათუმი |
| 25-28 სექტემბერი. | ქარ. ჭიდაობა — ფინალი | ხაშური |
| 26-30 სექტემბერი. | ფრენბურთი — ჭაბუკები. | ბათუმი |
| 11-13 სექტემბერი. | მძლეოსნობა | თბილისი-ქუთაისი |
| 2-5 ოქტომბერი. | საგზაოტკეცილო ველოსპორ. | ქუთაისი |
| 3-7 ოქტომბერი. | ფრენბურთი — გოგონები | ცხინვალი |
| 7-11 ოქტომბერი. | აკრობატიკა | თბილისი |
| 26-31 ოქტომბერ. | ხელბურ. ჭაბ. და გოგ. | ქუთაისი |
| 2-5 ნოემბერი. | მშვილდოსნობა | სოხუმი |
| 10-15 ნოემბერი. | კალათბურთი | სოხუმი |
| 10-18 ნოემბერი. | სასპორტო სროლა | მახარაძე |
| 11-14 ნოემბერი. | მხატვრული ტანვარჯიში | რუსთავი |
| მარტი-ნოემბერი. | ფეხბურთი კალენდრის | მიხედვით |

### ელვა-ინფორმაცია

კალათბურთი. კორაჩის თასი. ლენინგრადის „სპარტაკი" — საფრანგეთის „ლიმოჟი" 71:84. თასების მფლობელთა თასი. ცსკა (მოსკოვი) — „ოსტრავა" (ჩეხოსლოვაკია) 103:77.

## „მართვემ" ყველა დაამარცხა

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ მოედნებზე, დარბაზებში, საცურაო აუზებში. ერთ-ერთ შეჯიბრებას რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" სპორტულმა კომპლექსმაც უმასპინძლა. აქ გაიმართა 1973 წელს დაბადებულ მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი კალათბურთში. შეჯიბრებაში, რომელიც რუსთავის 1500 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ თბილისის „მართვეს" I და II გუნდები, რიგის „ვეფი", რუსთავის, ხარკოვის და პიატიგორსკის წარმომადგენლები.

თბილისის „მართვე-I"-მა მთელი ტურნე დაუმარცხებლად ჩაატარა — თანმიმდევრულად დაამარცხა რუსთავის (62:41), ხარკოვის (67:36), რიგის (63:44), თბილისის „მართვე-II" (60:44) და პიატიგორსკის (68:29) გუნდები. მეორე ადგილზე რუსთავის გუნდი გავიდა. ხოლო მესამე ადგილი კი „მართვეს" მეორე გუნდმა დაიკავა.

საუკეთესო მოთამაშისათვის განკუთვნილი პრიზის მფლობელი გახდა რიგელი როლიკს ბედლევსკი, საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი ხარკოველმა ოლეგ გოლოვკომ მიიღო, საუკეთესო მცველისა — მისმა თანაგუნდელმა დიმიტრი მარენჩუკმა.

ზურაბ ჩაჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ახმეტელი — 100

# ხელოვანის გატაცება

(დასასრული)

7 არშინი ყოფილა. იქვე ს. ახმეტელი მადლობას უძღვნის ქვემომაჩხაანელ ხელოსანს ალ. მჭედლიშვილს, რომელმაც თავისი სახელოსნო დაუთმო. პირველი კონსტრუქცია ახალგაზრდა გამომგონებელმა დახვეწა და ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრო გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩში" (№ 32, 1911) დაბეჭდილ წერილში „ჩემი აეროპლანის ბედი". ამ წერილს მცირეოდენი შემოკლებით პირველად ვაქვეყნებთ: „ჩემი აეროპლანი მე ბიპლანად მიმაჩნია, თუმცა ერთის შეხედვით იგი ხამპლანიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩვეულებრივი ოთხი გამზიდი ფართეულის ზედაპირის ნაცვლად მე ვაყენებ რვას, თანაც ისე, რომ აეროპლანთა არსებულ ზომას თითქმის ვანახევრებ და ამით ამწევძალიანობას მნიშვნელოვნად ვადიდებ. ე. ი. როგორც კი აპარატი ამოძრავდება, უმალვე ზევით აიჭრება. საერთო ზომა (სიგრძე) ზემოთა, მთავარ ზედაპირთა, რვა მეტრს უდრის. ორივე მთავარი ზედაპირის თავი და ბოლო მნიშვნელოვნად აწეულია... ჩემს კონსტრუქციას საფუძვლად სამკუთხედი დავუდე.

პირველად მე შევიტანე ჩემს კონსტრუქციაში მოტორის ენერგიის განაწილების პრინციპი. ამ პრინციპთან მე შემდეგმა მოსაზრებამ მიმიყვანა. საყოველთაოდ ცნობილია აქსიომა, რომ მოტორის ძალა აეროპლანის სიმძიმის პირდაპირი შესაბამისია, ე. ი. რაც უფრო მძიმეა აპარატი, მით უფრო მეტ ძალას მოითხოვს. დიდი ენერგიის მოთხოვნილებანი იზრდება, თუ გამზიდი ფართეულის ზედაპირთა საერთო ფართობი მნიშვნელოვნად მცირდება... ჩემი აპარატი (უავიატოროდ) თხუთმეტ ფუთიანია. უეჭველად ხშირდება 75-ცხენისძალიანი მოტორი. მოტორის ენერგიის განაწილების პრინციპის გამოყენებით მივიღებთ: 40 ცხენისძალა ხმარდება გარე სამკუთხედის ჰორიზონტალურ სამ — ლაპოტიან პროპელერებს და ამცირებს აპარატის წონას, რადგან ეს ხრახნები მაღლა მიისწრაფიან, ხოლო 35 ცხენისძალა ხმარდება შიდა სამკუთხედის ვერტიკალურ პროპელერებს და აპარატს წინ მიაქანებენ... ამ პრინციპით რას იგებს აეროპლანი? ჯერ ერთი, აეროპლანი დიდ სიმაღლეზე ადის, აპარატს შეუძლია ჰაერში შეჩერება და გადაიტანს რა მთელ 75 ცხენისძალას გარე სამკუთხედის პროპელერზე, ამ შემთხვევაში აპარატის სიმძიმე ჰორიზონტალური ხრახნებისაგან წარმოქმნილ წინააღმდეგობის ძალას გაუთანაბრდება. მეორეც, შეამცირებს რა თანდათან წინააღმდეგობას, აეროპლანი პერპენდიკულარულად დაეშვება მიწაზე და მესამე, ვაღწევთ ჰაერში აბსოლუტურ მდგომარეობას...

ასეთია ჩემი კონსტრუქცია, რომლის აღწერაც მე შევძელი მხოლოდ უმთავრესი ნიშნებით და რომელიც დამთავრებული იყო ამ სახით 1910 წლის მაისში... მე სრულიად დასაშვებად მიმაჩნია, რომ ჩემი აპარატი ნამდვილად სცოდავს დეტალებში და გადაკეთებას მოითხოვს როგორც სპეციალისტების მხრივ, ასევე გამოცდის დროს. მით უმეტეს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა არ გამაჩნია".

ახალგაზრდა მოყვარულ კონსტრუქტორს ძიებები უსახსრობის გამო შეუწყვეტია.

ასეთი ფართო ინტერესების მქონე პიროვნება იყო ს. ახმეტელი. შემდგომში, როდესაც ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრში კორპორაცია „დურუჯი" შეიქმნა, იგი შეფობას უწევდა ფეხბურთელთა გუნდ „დურუჯს". ამ პერიოდში მსახიობებმა საკუთარი ფეხბურთის გუნდიც ჩამოაყალიბეს და ამხანაგურ შეხვედრებსაც მართავდნენ.

ს. ახმეტელი თავის სპექტაკლებში უმნიშვნელოვანეს როლს რიტმს ანიჭებდა, რომლის საშუალებით გმირთა ხასიათებს ფიზიკური მოქმედებით ასხამდა ხორცს. მისი დადგმები მაყურებელს ხიბლავდა მოქმედების ექსპრესიით, რიტმის დინამიკურობით, სიტყვისა და სხეულის პლასტიკურობით. ამ მხატვრული საშუალებებით ქმნიდა რეჟისორი სპექტაკლებს, სადაც გმირებად გამოჰყავდა სულიერად და ფიზიკურად ძლიერი ადამიანები. ამიტომაც დამდგმელი რეჟისორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსახიობის ფიზიკურ მონაცემებს. ქართული ჰეროიკული თეატრი მსახიობისაგან გამომსახველობით უნარს მოითხოვდა. ს. ახმეტელი თავის თეატრულ სტატიებში ხშირად წერდა ქართველი მსახიობის პლასტიკურ და ტემპერამენტიან ბუნებაზე, მის მუსიკალობასა და რიტმულობაზე. მისი აზრით, ყოველ ადამიანში არსებული ეს თვისებები მკვეთრად უნდა წამოწეულიყო წინ რევოლუციური რომანტიკის გამოსახატავად. ს. ახმეტელი ამ მეთოდს ექსპერიმენტული ხასიათის მუშაობას უწოდებდა, რაც მსახიობთა ყოველდღიურ ვარჯიშს მოითხოვდა. სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე იგონებდა: „პლასტიკურად ისე ვიყავი გაწვრთნილი, რომ როგორც მინდოდა, ისე „დავგრეხდი" ჩემს სხეულს". დიახ, სპექტაკლების მაღალმხატვრულ დონეს სწორედ რიტმის, პლასტიკის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის შერწყმა განსაზღვრავდა, ყველაფერი ეს ექვემდებარებოდა რევოლუციური შინაარსისათვის ეროვნული ფორმის მიცემის პრინციპს. შემოქმედებითი კოლექტივის მიზანი იყო გადმოეცა ახალი ეპოქის დინამიკა, ჩასწვდომოდა მიმდინარე ისტორიულ პროცესებს, ეჩვენებინა თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა. ს. ახმეტელის რეჟისორული მეთოდის სიახლეც ამ სისტემის ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა.

**გუგაზ მეგრელიძე,**
თეატრმცოდნე.

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

# მომავალი მატჩის მოლოდინში

მთელი რიგი საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, „ლელოს" პრიზზე რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების საფეხბურთო შეხვედრის გამართვამდე თითქმის არაფერი დარჩა. ორივე თეატრი და სპორტის სასახლე, სადაც მინიფეხბურთში ეს შეხვედრა გაიმართება, მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან „საუკუნის მატჩს".



მაგრამ, არ დაგიმალავთ, თეატრებს ძალიან უძნელდებათ გუნდების დაკომპლექტება. რაკი საიდუმლო გაგვანდეს, რედაქციამ გადაწყვიტა თქვენი აქტიური მონაწილეობით დაეხმაროს კაპიტნებს. თხოვნა ასეთია: ჩვენი გაზეთის მკითხველებმა, თეატრების, მსახიობების თაყვანისმცემლებმა, ფეხბურთის გულშემატკივრებმა თავად უნდა დაასახელოთ თქვენი საყვარელი მსახიობები, რომელთა ნახვაც გსურთ ფეხბურთელის „როლში". თქვენს წინადადებებს გავაცნობთ გუნდების კაპიტნებს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს სოსო ლაღიძეს და ჯემალ მონიავას. პასუხები რედაქციაში უნდა გამოგზავნოთ 26 იანვრამდე.

ველით თქვენს წერილებს!

ახლა კი თვალი გადავავლოთ ისტორიას. რა ადგილი ეჭირა სპორტს თეატრების ცხოვრებაში?

**სურათებზე:** სხვადასხვა წლების შეხვედრათა მონაწილენი. 1938 წელი, ვაკის სტადიონი, ქალაქის პირველობაში გამარჯვებული ხელოვნების მუშაკთა კავშირის პირველი გუნდი: მარცხნიდან 1. ქურხული, 2. მაცაბერიძე, 3. ალიმზარაშვილი, 4. ჩაჩავა, 5. კოხტავა, 6. მეტრეველი, 7. ქოჭრაშვილი, 8. პირველი, 9. გიორგაძე (მარცხენა ფოტო).

თბილისი, „დინამოს" სტადიონი (წელი დასადგენია) მარცხნიდან — 1. ნოდარ ჩხეიძე, 2. ჯემალ ღაღანიძე, 3. კარლო ლლონტი, 4. ნოდარ მარგველაშვილი, 5. გიორგი საღარაძე, 6. ეროსი მანჯგალაძე, 7. კოტე მახარაძე, 8. ემანუილ აფხაიძე, 9. ნუგზარ ანდღულაძე, 10. თამაზ ქვარიანი, 11. ვალიკო ქურხული.

სურათები ვ. ქურხულის არქივიდან.



# მოსწავლეებიც, მუშებიც...

ხუთკილომეტრიან დისტანციაზე გამართულ მასობრივ კროსში რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები და საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები მონაწილეობდნენ.

მოსწავლე გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ზესტაფონის № 4 საშუალო სკოლის მოსწავლემ ელზა ბანცაძემ, მეორე — ზედა საქარის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა მანანა აბულაძემ, მესამე ადგილი წილად ხვდა ქვედა საზანოს № 1 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს დოდო ნეფარიძეს. ჭაბუკთა შორის ფინიშთან პირველი მიიჭრა ცხრაწყაროს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ივანე მაგრაქველიძე, მეორე იყო ზესტაფონის № 1 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ბესიკ ლომიძე, მესამე — ასევე მეათეკლასელი, ზესტაფონის № 2 საშუალო სკოლის მოსწავლე ზაზა ჩომახიძე.

ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა სამედიცინო გაერთიანების მედდამ მაია ნასარიძემ. მამაკაცებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ფეროშენადნობის ქარხნის № 5 საბჭოს მუშამ ზაზა მოგვერაძემ.

შეჯიბრების ყველაზე უფროსი მონაწილისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა რკინიგზის ტრანსპორტის მუშამ იური კვინიევმა.

გასული წლის მიწურულს ზესტაფონელი კროსმენები კიდევ ერთხელ გამოვიდნენ დისტანციაზე. ამჯერად შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების შესატყვისი მოთხოვნებით ჩატარდა:

კროსში საერთო გამარჯვება მე-4 საშუალო სკოლის ფიზკულტურელებმა (მასწავლებელი გ. ქლენტი) მოიპოვეს, მომდევნო ადგილებზე დაბა შორაპნისა და ზესტაფონის № 3 საშუალო სკოლების გუნდები გავიდნენ.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ლ. ჭუმბურიძე, ნ. ავალიანი, ლ. გიორგაძე, ნ. მახათაძე, ბ. კოშაძე, ხ. ჩინჩალაძე, მ. თევდორაძე, ე. ბანცაძე, კ. მახათაძე და შ. მაღლაკელიძე.

**პეტრე ნებიერიძე.**
ზესტაფონი.

# მამაცობის მაგალითი

**თბილისი, 12 იანვარი. (საქინფორმი).** თბილისელ მეოთხეკლასელებს გიორგი შარუხიას და არჩილ ნიკოლაიშვილს რომ დღეს სკოლაში არ დაგვიანებოდათ, საქართველოს ავიატორებს მთელი გამოცდილების გამოყენება დასჭირდათ. მათ ასობით ბავშვი გადმოიყვანეს გუდაურის სამთო-სათხილამურო ცენტრიდან, სადაც ბავშვები, მშობლებთან ერთად, ზამთრის არდადეგებს ატარებდნენ. დიდთოვლობა მოულოდნელად დაატყდათ თავს. თითქმის 500-მდე კაცი გარესამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ყველაზე მეტად მესტიის რაიონი დაზარალდა. სოფელ ჯამუშში, უშგულში, ბარისახოში ზვავებმა საცხოვრებელი სახლები ჩაჩუმქრა. ყველა ადამიანის გადარჩენა არ მოხერხდა. თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც დღეს ხელთა გვაქვს, მესტიის, დუშეთის, ცხინვალისა და ლენტეხის რაიონებში 29 ადამიანი დაიღუპა.

ამ ადგილებში ჩავიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამაშველო სამუშაოები გრძელდება. მოგვარებულია მოსახლეობისთვის პროდუქტების, მედიკამენტების, სათბობისა და სხვა საჭირო ნივთების მიწოდების საკითხი. დახმარება აღმოეჩინათ დაზარალებულებსა და დაშავებულებს. მიმდინარეობს კავშირგაბმულობისა და ელექტროენერგიის, დაზიანებული ხაზების აღდგენითი სამუშაოები. ხალხის დარაზმულობა, სამაშველო სამუშაოების კარგი ორგანიზაცია რომ არა, სტიქიის ძალით მიყენებული ზარალი შეიძლებოდა უფრო მძიმე ყოფილიყო.

სამაშველო და აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობენ მებრძოლები, ენგურჰესის მშენებლები, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის წარგზავნილები.

ახლა ფართო ფრონტით მიმდინარეობს მუშაობა საავტომობილო გზებზე, სადაც თანამედროვე თოვლსაწმენდი მანქანებია თავმოყრილი. გასაკვალავია გზები კავკასიონის 30-ზე მეტ ხეობამდე.

## მოკლედ

**სოფელ** ძევრის ტერიტორიაზე ჩატარდა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველობა კროსში (300, 500 და 1000 მეტრზე). თითოეულ გუნდში 5 გოგონა და 6 ვაჟი იყო.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა თერჯოლის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნაკრებმა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი კ. ჩარექიშვილი), მეორე ადგილზე ღვინკითის სკოლის გუნდი გავიდა, მესამე ადგილი ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დაისაკუთრეს.

8-წლიან სკოლებს შორის გაიმარჯვეს ძევრელმა მოსწავლეებმა. ტყიბულჰესისა და სათემოს სკოლის გუნდებმა შესაბამისად მე-2 და მე-3 ადგილები დაიკავეს.

**ვანო კუტალაძე.**
(„ლელოს" კორესპონდენტი).
თერჯოლა.

* * *

**სამტრედიის** საჭადრაკო კლუბში ჩატარდა „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელშიც თბილისის, ერევნის, სამტრედიის განყოფილებათა რაისაბჭოებისა და სამტრედიის სპორტკლუბ „იმერეთის" ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, I ადგილი სამტრედიის რაისაბჭოს გუნდმა დაიკავა.

• • •

**დამთავრდა** სარაიონო ჩემპიონატი 64-უჯრედიან შაშში ვაჟთა შორის. 11 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა მალხაზ კრავეიშვილმა და არჩილ გრიგოლიამ. ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეორედ უკეთესი კოეფიციენტის მქონე კრავეიშვილს მიეკუთვნა. მესამე იყო ოსტატობის კანდიდატი გივი მამიევი — 7,5 ქულა.

**ილიამ ნიკოლეიშვილი,**
„ლელოს" კორ.

# საბჭოთა მოკრივეთა ახალი წარმატებები

ვლადიმირელმა ვიქტორ ეგოროვმა (71 კგ) შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში, ევროპის თასის გათამაშებაში უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. ფინალურ ორთაბრძოლაში მან დაამარცხა ბულგარეთის წარმომადგენელი ანგელ სტოიანოვი.

კიდევ სამმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა ამ შეჯიბრებაში პირველი პრიზი. ესენი არიან ალბერტ პაკეევი (51 კგ; ირკუტსკი), იგორ რუჟნიკოვი (67 კგ, ტემირტაუ) და ალექსანდრე ზოლკინი (91; მოსკოვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხჯერ ფინალში

**ქართველმა** ბადმინტონისტმა, 16 წლის ინგა ბერიძემ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის იუნიორთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში. როგორც ვიუწყებოდით, ინგამ კიდევ ერთი ოქროს მედალი და ორი ვერცხლის მედალი შერეულ და წყვილთა ასპარეზობებში მოიპოვა. საქართველოს არც ერთ ბადმინტონისტს დღემდე მსგავსი წარმატებებისთვის არ მიუღწევია.

მოვუსმინოთ ინგას მწვრთნელს, ვიქტორ მალიუტინს.

— საქართველოს სპორტულ ღირსებას კაუნასში ექვსი სპორტსმენი იცავდა. სხვა დროს ამდენი წარმომადგენელი არ გვყოლია. შედარებისთვის ვიტყვით, რომ მოსკოვი 3 ბადმინტონისტით იყო წარმოდგენილი, ზოგიერთი რესპუბლიკიდან კი არც ერთი სპორტსმენი არ დაუშვიათ. „ბურევესტნიკის“ ნაკრებში ჩვენი სპორტსმენებიდან მხოლოდ ინგა ბერიძე ასპარეზობდა. ინგას როგორც გუნდურ, ისე პირად შეჯიბრებაში, არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. განსაკუთრებით ძნელი იყო მისთვის პირად პირველობაში გამოსვლა, რადგან აქ მისი ასაკის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოდიოდა. ქვეჯგუფში ინგამ პირველი ადგილი დაიკავა, ნახევარფინალში კი მასპინძელთა გუნდის წევრი აუშვეჯე გაბრენაიტესი მშრალი ანგარიშით დაამარცხა — 2:0. მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა ბრძოლა ფინალში ლენინგრადელ ელენა დიპოლტთან, მაგრამ ქართველმა გოგონამ მეტოქე მაინც დაჯაბნა — არცერთი პარტია არ დათმო და პირველი ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ ინგა ბერიძე კიდევ ორჯერ გამოვიდა ფინალში — წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში მოსკოველ ელენა რუმიანცევასთან და ამ ასპარეზობაში პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულ გორკელ სერგეი მელნიკოვთან ერთად იასპარეზა. როგორც ჩანს, ამდენმა ბრძოლამ დაღალა ისინი. მათ ორივე შეხვედრა დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, თუმცა სპეციალისტების აზრით, პოტენციურად გამარჯვებულებზე ძლიერები იყვნენ.

— ახლო მომავალში რომელ შეჯიბრებაში მოუწევს ინგას გამოსვლა?

— 10 თებერვალს საფრანგეთში დაიწყება იუნიორთა ევროპის პირველობა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრების ლიდერი ინგა ბერიძეც მიიღებს მონაწილეობას.

**ჯემალ კასრაძე.**

# რევანში პირად ტურნირში

ძიუდოისტთა ნებისმიერ ტურნირში გამარჯვებას, თუ იქ იაპონელებიც გამოდიან, მუდამ დიდი რეზონანსი აქვს. ეს გასაგებიცაა. ძიუდოს ფუძემდებლები ყოველი საერთაშორისო შეჯიბრებისთვის სერიოზულად ემზადებიან და ცდილობენ თავიანთი პრესტიჟი ღირსეულად დაიცვან.

ასე იყო ამჯერადაც, ტოკიოს საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ გამარჯვება სტუმრებს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს დარჩათ, რომლებსაც ამომავალი მზის ქვეყანაში უძლიერესი გუნდი არც ჩაუყვანიათ. ამიტომ ამ გუნდურ წარმატებას ერთი-ორად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ფინალური შეხვედრა იაპონელებს მოუგო ანგარიშით 2:1 (სხვა შეხვედრები ფრედ დამთავრდა).

წარუმატებლობით განაწყენებულმა მასპინძლებმა პირად პირველობაში სრული რევანში აიღეს და თითქმის ყველა პირველი ადგილი დაისაკუთრეს. დამარცხდნენ გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საბჭოთა ძიუდოისტებიც: კოლომნელ ევგენი პეჩუროვს (95 კგ) აკიტო კანემარუმ მოუგო, მინსკელ ვიტალი პესნიაკს კი (86 კგ) — მასაო მუხატემ. პეჩუროვიცა და პესნიაკიც მეორე ადგილებზე დარჩნენ.

მესამე ჯილდო დაიმსახურა აბსოლუტურ წონაში მოასპარეზე გრიგორი ვერიჩევმა. აქ პირველი გდრის წარმომადგენელი ჰენრიხ შტორი იყო.

ფეხბურთი-87

# ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

**ახლოვდება 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი, კერძოდ, ცოტალა დარჩა მარტამდე, როცა იწყება სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი.**

ფეხბურთის მოყვარულებს, ბუნებრივია, აინტერესებთ თუ რა ცვლილებები მოხდა უმაღლესი ლიგის გუნდებში. ამ ლიგის წარმომადგენელთა საგანაცხადო სიები ჯერ დამტკიცებული არაა, ამდენად არც საბოლოო შემადგენლობებია განსაზღვრული, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებები ყველა გუნდში მოხდება. დღეს საშუალება გვაქვს ვილაპარაკოთ იმ სიახლეებზე, რომლებიც მოხდა მოსკოვის გუნდებში.

**ცსკა** ორი წლის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. აქ ბაქოს „ნეფთჩიდან“ გადმოვიდა მეკარე ვიაჩესლავ ჩანოვი, ლენინგრადის „ზენიტიდან“ — სერგეი ვედენეევი, ოდესის „ჩერნომორეციდან“ — ალექსანდრე სპიცინი, ოდესის არმიელთა გუნდიდან — სერგეი შმატოვალენკო, არიან ახალგაზრდა მოთამაშეებიც ცსკა-ს მეორე გუნდიდან.

მოსკოვის **„ტორპედოს“** წინასასეზონო მზადებას გადის ადლერში. ტორპედოელთა რიგები დატოვეს ა. რედკოუსმა, ვ. პივცოვმა, ა. გოსტენინმა. მათ სანაცვლოდ მწვრთნელებმა როსტოვის არმიელთა გუნდიდან მიიწვიეს აგაშკოვი და ვ. გალაიბა, დუშანბეს „პამირიდან“ — ო. შირინბეკოვი, მოსკოვის „ზნამია ტრუდადან“ — ვ. ბოდაკი.

მოსკოვის **„სპარტაკი“** ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს 14 იანვრიდან. გუნდიდან წავიდნენ გ. მოროზოვი, ვ. პოპელნუხა, რ. ატაულინი, ვ. ბორისოვი. „სპარტაკში“ თამაშის სურვილი განაცხადეს ი. მენტიუკოვმა (იაროსლავლის „შინიკი“), ბ. მელიქიანმა და ვ. კოლიადკომ (დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“), ს. ნიკიტინმა (სმოლენსკის „ისკრა“), მ. ჩესნოკოვმა (ვოლოგდის „დინამო“) და რამდენიმე სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელმა.

მოსკოვის **დინამოელთა** რიგები „სპარტაკიდან“ შეავსეს გ. მოროზოვმა და ვ. პოპელნუხამ, როსტოვის არმიელთა გუნდიდან — ი. სკლიაროვმა, სტავროპოლის „დინამოდან“ — ს. უშაკოვმა, აგრეთვე, დინამოელთა საფეხბურთო სკოლის რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშემ.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### იტალია

უამინდობის გამო I წრის უკანასკნელი ტური, რომელიც კვირას გაიმართა, ძალიან ცუდ პირობებში ჩატარდა. შეხვედრა ბერგამოში „ატალანტასა“ და „ფიორენტინას“ შორის გადაიდო და ორშაბათს შედგა, გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. რვა მატჩში 13 ბურთი გავიდა. ამასთან სტუმრად მოთამაშე გუნდებმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს. ეს ბურთი ვერონის „ელასისა“ და მილანის „ინტერის“ მატჩში გაიტანა მილანელთა თავდამსხმელმა ალტობელიმ. მალე „ელასში“ მოთამაშე დანიელმა ფეხბურთელმა ელკიაერმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შეხვედრის ბოლო წუთზე მანვე ულამაზესი გოლით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 2:1.

„ნაპოლისა“ და „ასკოლის“ შეხვედრის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მეორე ტაიმში ნეაპოლელებმა მაურომ, რომანომ და ბანიმ სამი ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში — 3:0. ფრედ — 0:0 დამთავრდა „ბრეშიასა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრა, რომელშიც ბრწყინვალედ ითამაშა „ბრეშიას“ ფეხბურთელმა ბრაზილიელმა ბრანკომ. ასეთი ანგარიშით კიდევ ორი შეხვედრა დამთავრდა: „ემპოლი“ — „კომო“ და „მილანი“ — „უდინეზე“. „ტორინომ“ დაამარცხა „სამპდორია“ — 2:0 (კომი და კორადინი). „რომამ“ მოუგო „აველინოს“ — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი“ | 15 | 23:10 | 22 |
| „ინტერი“ | 15 | 19:7 | 20 |
| „მილანი“ | 15 | 15:7 | 19 |
| „იუვენტუსი“ | 15 | 20:18 | 19 |

### პორტუგალია

მე-17 ტურის ცენტრალური შეხვედრა „პორტუსა“ და გიმარაეშის „ვიტორიას“ შორის შედგა. ამ მატჩში „პორტუს“ შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ბრაზილიელი ფეხბურთელი კაზაგრანდე, რომელიც ახლახანს გადავიდა ამ კლუბში. შეხვედრის პირველ ნახევარში „ვიტორიის“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა პაულინიუ კაშკაველმა გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში „პორტუში“ მოთამაშე ბრაზილიელმა ჟუარიმ აღადგინა წონასწორობა, მაგრამ კაშკაველმა კვლავ წინ გაიყვანა სტუმრები. „პორტუ“ მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე და კაზაგრანდემ მეორე ბურთი გაიტანა — 2:2.

ფრედ — 0:0 დამთავრდა 4 შეხვედრა: „ვარზიმი“ — „ბენფიკა“ (ლისაბონი), „სპორტინგი“ (ლისაბონი) — „რიუ ავე“, „ბელენენსეში“ (ლისაბონი) — „სალგეირუში“ (პორტუ) და „ბოავიშტა“ (პორტუ) — „ფარენსე“. „ბოავიშტას“ მწვრთნელად ჟოაუ ალვეშის ნაცვლად დაინიშნა ჟოზე ტორეში, რომელიც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრებს ედგა სათავეში.

დანარჩენი შეხვედრები: „მარიტიმუ“ (ვუნშალი) — „ელვაში“ — 5:1, „სპორტინგი“ (ბრაგა) — „შავეში“ — 2:1.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას ფერნანდუ გომეში („პორტუ“) — 17 ბურთი. 15 გოლი აქვს გატანილი პაულინიუ კაშკაველს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 17 | 32:17 | 28 |
| „ვიტორია“ (გიმარ.) | 17 | 32:12 | 27 |
| „პორტუ“ | 17 | 48:15 | 26 |

### ესპანეთი

კვირას გაიმართა 22-ე ტური. „სევილიისა“ და „ბარსელონის“ შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. „ბარსელონის“ მცველები შეცდომებს უშვებდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნის დროს და მასპინძლები არაერთხელ აღმოჩნდნენ ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ მეკარე სუბისარეტამ შესანიშნავად ითამაშა და იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან — 0:0.

მადრიდის „რეალმა“ დაამარცხა „ბეტისი“ 3:0 და 2 ქულამდე შეამცირა სხვაობა „ბარსელონასთან“. ბურთები გაიტანეს გორდილიომ და ბუტრაგენიომ (2). ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა ბარსელონის „ესპანიოლმა“. ამჯერად მან სარაგოსის „რეალი“ დაამარცხა — 2:0 (ორივე ბურთი პიჩი ალონსომ გაიტანა). ბილბაოს „ატლეტიკმა“ დაამარცხა პამპლონის „ოსასუნა“ — 4:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ანდრინუამ (2), სარიუგარტემ და რობერტომ, სტუმართა ერთადერთი გოლი ახალგაზრდა თავდამსხმელის ხუან გოიკოეჩეას ანგარიშზეა. მექსიკელი ფეხბურთელი ხავიერ აგირე, რომელიც „ოსასუნაში“ თამაშობს, ამ სეზონში ტრავმების გამო იშვიათად გამოდიოდა მოედანზე და ალბათ, სამშობლოში დაბრუნდება.

სხვა შეხვედრები ასეთი ანგარიშით დამთავრდა: „კადისი“ — „რეალი“ (მალიორკა) — 1:0, „საბადელი“ — „რასინგი“ (სანტანდერი) — 1:1, „რეალი“ (ვალიადოლიდი) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) — 1:0, „რეალი“ (მურსია) — „სპორტინგი“ (ხიხონი) — 2:0, „უნიონი“ (ლას პალმასი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი) — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 22 | 30:9 | 33 |
| „რეალი“ (მად.) | 22 | 39:19 | 31 |
| „ესპანიოლი“ | 22 | 36:18 | 30 |

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები



### ანტონიო ალსამენდი — საუკეთესო

სამხრეთ ამერიკის სპორტული ჟურნალისტების ტრადიციული გამოკითხვის შედეგად კონტინენტის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია ალსამენდი (ურუგვაი). შომდევნო ადგილებზე არიან კარეკა (ბრაზილია) და რომერო (პარაგვაი).

### ოთხი წინადადება ფიოლერს

როგორც ბრემენის „ვერდერისა“ და გფრ-ის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა რუდი ფიოლერმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე იტალიაში გადავა, მაგრამ რომელ გუნდში, ეს ფიოლერმა ჯერჯერობით არ იცის. საქმე ის არის, რომ მას წინადადებით ერთბაშად ოთხმა გუნდმა მიმართა: „ნაპოლიმ“, „ინტერმა“, „მილანმა“ და გენუის „სამპდორიამ“.

### 8000 ჟურნალისტი

როგორც რომში გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მასპინძლებს — იტალიელებს საშუალება ექნებათ 8000 ჟურნალისტი, ფოტორეპორტიორი, რადიო და ტელეკომენტატორი მიიღონ. მთავრობა სტადიონების მოდერნიზაციისთვის 500 მილიარდ ლირას გაიღებს (რაც 350 მილიონ დოლარს უდრის).

### მენოტი — „ბოკა ხუნიორსში“

ორწლიანი შესვენების შემდეგ სესარ ლუის მენოტიმ კვლავ დაიწყო მწვრთნელად მუშაობა. 47 წლის მენოტიმ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი „ბოკა ხუნიორსთან“, იმ გუნდთან, რომლის ღირსებასაც დიდხანს იცავდა. არგენტინის ეს პოპულარული კლუბი ამ ბოლო დროს წარუმატებლად ასპარეზობდა და კონკურენციას ვერ უწევდა თავის მუდმივ მეტოქეს, საკონტინენტთაშორისო თასის ახლანდელ მფლობელს „რივერ პლეიტს“. „ბოკა ხუნიორსი“ მდგომარეობის გამოსწორებას მენოტის შემწეობით აპირებს. ამ მიზნით, როგორც კი „ინტერთან“ კონტრაქტის ვადა გაუვა, „ბოკა ხუნიორსში“ გადავა მენოტის საყვარელი ფეხბურთელი დანიელ პასარელა. იგი არგენტინაში ზაფხულში დაბრუნდება.

### პოლიციის მეთვალყურეობით

როგორც ყოველთვის, იტალიის ჩემპიონატის მატჩები გულშემატკივრების თავშეუკავებელი საქციელით გამოირჩევა. მაგალითად, „ფიორენტინას“ და „რომას“ შეხვედრის დროს ორივე გუნდის ქომაგები პოლიციის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ამის მიუხედავად, 19 წლის ტოზიბრანდი დანით დაჭრეს, ხოლო რომაელი გულშემატკივრები ფლორენციის პოლიციამ თამაშის შემდეგ საკმაოდ შორს გააცილა, რათა მათ აყალ-მაყალი არ აეტეხათ.

### სასტიკი მუშტი-კრივი

შოტლანდიის ნაკრების წევრი, გლაზგოს „სელტიკის“ ფეხბურთელი მ. ჯონსტონი პოლიციამ დააპატიმრა და რამდენიმე დღე სატუსაღოში ჩასვა იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო ქალაქის დისკოთეკაში გამართულ სასტიკ მუშტი-კრივში.

### ფოტორეპორტიორების ბოიკოტი

მიუნჰენელმა ფოტორეპორტიორებმა გადაწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ ამავე ქალაქის პოპულარულ საფეხბურთო კლუბ „ბაიერნს“. მათ აღარ სურთ სურათები გადაიღონ, რადგან მატჩების დროს „ბაიერნის“ მესვეურები უკრძალავენ კართან ახლოს დგომას. მწვრთნელები ამტკიცებენ, რომ ფოტოკორესპონდენტები ხელს უშლიან მეკარეს.

# აჭარის საფეხბურთო ჩემპიონატი

**ბათუმის,** ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის გუნდები მონაწილეობდნენ აჭარის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში. ამ შეჯიბრებაზე ტრადიციულად არ გამოდიოდნენ შუახევისა და ხულოს გუნდები, ვინაიდან ამ რაიონებში არა აქვთ ფეხბურთის სათამაშო მინდვრები. მაგრამ, ვფიქრობთ, თუ აქაური სპორტული ხელმძღვანელები დაინტერესდებიან და ყურადღებას გამოიჩენენ, მათ არ გაუჭირდებათ ფეხბურთის დანერგვა თავიანთ რაიონებში. აქაური ახალგაზრდები, ეჭვი არაა, სიხარულით შეხვდებიან ყოველგვარ საფეხბურთო წამოწყებას.

აჭარის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება „ავტომობილისტმა“ (გენერალური დირექტორი ნ. გიორგაძე, მწვრთნელი ს. ავალიანი). ავტოტრანსპორტელებმა 24 მატჩში 38 ქულა დააგროვეს და 5 ქულით გაუსწრეს ქობულეთის რაიონის აგროსამრეწველო კომბინატის გუნდს. 31 ქულით მესამე ადგილზე გავიდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის გუნდი.

განვლილმა შეჯიბრებამ მრავალი ნაკლოვანი მხარე გამოავლინა, ზოგიერთი კოლექტივი ძალზე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ავტონომიური რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატს. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობის ფეხბურთელები ბოლო ორ ტურში საერთოდ არ გამოცხადებულან მეტოქეთა მინდვრებზე სათამაშოდ და ამით გააწბილეს თამაშის სანახავად მოსული მაყურებელი. გარდა ამისა, იყო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაზედაც მკაცრად იმსჯელა და სათანადო ზომები მიიღო აჭარის ფეხბურთის ფედერაციამ.

**ლევან ქავჟარაძე.**
**(ჩვენი საკ. კორ.).**



# იდეალს მიახლოებული ნახტომი

„ჩვენ ვიცოდით, რომ თხილამურებით ფრენა სწორედ ასე უნდა, მაგრამ არ გვეგონა მსგავს ნახტომს თუ ოდესმე ვნახავდით. ჰაერში იგი მართლაც შეუდარებელია, აი, მიწაზე დაშვებისას კი... ახალბედა გეგონებათ"... ასე შეაფასეს კობა წაქაძის ნახტომი გერმანელმა სპეციალისტებმა ზუსტად 30 წლის წინ ობერვიზენტალში (გფრ) გამართულ შეჯიბრებისას.

„დოიჩეს შპორტეჰომ" კი საბჭოთა სპორტსმენის გამოსვლას საახალწლო ტურნირში უფრო კონკრეტული შეფასება მისცა: „კობა წაქაძემ მიმდინარე სეზონის პირველ შეჯიბრებაში 213,5 ქულით მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, მაგრამ როცა მიწაზე ნორმალურად დაშვებას ისწავლის, მსოფლიოს ყველა მხტომელს აჯობებს".

შემფასებელთა აზრი ერთმანეთს დაემთხვა: კობა წაქაძეს არ უვარგა ნახტომის ბოლო ფაზა — მიწაზე დაშვება, რის გამოც იგი ბევრ ქულას კარგავს. რაც შეეხება ფრენის ტექნიკას, ამაში საბჭოთა სპორტსმენს ბადალი არ ჰყავს. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ფრენა მას თითქმის იდეალური აქვს.

„დოიჩეს შპორტეჰომ" ობერვიზენტალის შეჯიბრების შედეგებს ფაქტიურად მთელი გვერდი დაუთმო. აქ დაიბეჭდა საუბარი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელთან, ლენინგრადელ ვ. დემენტიევთან და საკავშირო სათხილამურო სექციის თავმჯდომარის და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, მოსკოველი ვ. ანდრეევის წერილი. ისინი საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლას ობერვიზენტალში მაღალ შეფასებას აძლევდნენ და აღნიშნავდნენ, რომ 20 წლის ბაკურიანელმა მოთხილამურემ კობა წაქაძემ თავისი ფენომენალური შესაძლებლობები აწი უნდა გამოავლინოსო.

კობამ ობერვიზენტალში საწვრთნელი ხტომების დროს 80-მეტრიან ზღვარს რამდენჯერმე გადააჭარბა, იმ დროს, როცა მსოფლიოს სხვა წამყვანი მხტომელები 75,5 მეტრზე უკეთეს შედეგს ვერ აჩვენებდნენ. სწორედ ამის გამო წერდა გაზეთი: „კობა წაქაძის ოსტატობა, ვაჟკაცობა და გამბედაობა ჭეშმარიტად განუმეორებელია და ფანტასტიკურ ზღვრამდეა მისული. საინტერესოა რა მოხდება, როცა წაქაძის ნახტომში თავშეკავებას ველარ ვიგრძნობთ"?

იმ დროის ყველა სპეციალისტი დარწმუნებული იყო რომ წაქაძემ მთავარი ყურადღება დახტომის ტექნიკის სრულყოფას უნდა მიაქციოს, რაც მას, საბოლოო ჯამში, მსოფლიოს უძლიერესი მხტომელის სახელს მოუტანდა...

**სურათზე:** ახეთი იყო კობა წაქაძე ჰაერში.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# ავტორიტეტთა რისკვა

1932 წლის ივლისი. ლოს-ანჯელესი. „კოლიზეუმის" სტადიონი. ზაფხულის X ოლიმპიური თამაშები. სტადიონზე 105 000 მაყურებელია, მათ შორის თამაშების დამაარსებელიც — მარკიზი პიერ დე კუბერტენი. 10000-მეტრიან დისტანციაზე ფინალური გარბენის მონაწილენი გამოსულან. 18 მორბენალს შორის არიან ფავორიტები: ფინელები ლაური ვირტანენი და ვოლმარი ისო-ჰოლო, პაავო ნურმის „მემკვიდრედ" წოდებული, აგრეთვე პოლონელი — იანუშ კუსოჩინსკი. „პოლონელი ჯერ ვერ დასწევია ფინელებს და ამიტომ მას არ შეუძლია სერიოზულად დაემუქროს ისო-ჰოლოს" — ასეთი იყო პაავო ნურმის პასუხი ჟურნალისტის შეკითხვაზე. თვით ნურმი იმ პერიოდისათვის დისკვალიფიცირებული იყო. არ შეუსრულდა პოლონელ სპორტსმენს ოცნება, ამ ლეგენდარულ სპორტსმენს დიდ შეჯიბრებაზე შეხვედროდა.

სტარტი. პოლონელი მორბენალი სათავეში ჩაუდგა ჯგუფს, დაიწყო მომქანცველი ორთაბრძოლა. ჯგუფი დანაწევრდა. იანუშს აჩრდილივით ფეხდაფეხ მისდევდნენ ფინელები. დაიწყო ტაქტიკური ბრძოლა, რომლის მთავარი გმირები იყვნენ: კუსოჩინსკი, ისო-ჰოლო და ვირტანენი — ერთი პოლონელი ორი ფინელის წინაამდეგ. მეთხუთმეტე წრეზე კუსოჩინსკის ფეხის ტერფები ასტკივდა. ტკივილი თანდათან უძლიერდებოდა. სპორტსმენს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფეხშიშველა მირბოდა გავარვარებულ ლურსმნებზე. ცდილობდა ტკივილი არ შეემჩნია, მაგრამ ფეხსაცმელი საოცრად უჭერდა. სიცხემ ფეხები გაუხურა, ფეხის გულები გაუსივა, თუმცა იგი ჯერჯერობით ისევ ლიდერი იყო. ფინელმა ვირტანენმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, მაგრამ მომქანცველ ტემპს ვერ გაუძლო და იგი უკან ჩამოიტოვეს ლიდერებმა. იანუში უკვე ულოცავდა თავის თავს სწორი ტაქტიკის არჩევას. მაგრამ ისო-ჰოლო ისევ ფეხდაფეხ მისდევდა მას და ამიტომ პოლონელი იძულებული გახდა სამი წრე სასიკვდილო ტემპით ერბინა, რამაც აუტანელი ტკივილი და ტანჯვა მიაყენა. კუსოჩინსკი დარწმუნებული იყო, რომ თუ ისო-ჰოლო ამ დროს დაჯაბნიდა მას, იგი წააგებდა ორთაბრძოლას, რადგან უკვე ველარ შეძლებდა ბრძოლას „ორ ფრონტზე" — საკუთარ თავთან და ისო-ჰოლოსთან. მაგრამ ამ ორთაბრძოლაში მაინც იანუშმა გაიმარჯვა. ...ტკივილები არ უყუჩდებოდა, მაგრამ ...იგი არც ერთ სანტიმეტრზე არ რჩებოდა მეტოქეს. და აი, სანატრელი ზარი. პოლონელს სულ დაავიწყდა ყველაფერი, ტკივილები, დაღლა და იგი წინ გაიჭრა. რამოდენიმე ათეული მეტრი ისინი გვერდიგვერდ მირბოდნენ. ვირაჟზე ისო-ჰოლომ გაასწრო, მაგრამ სწორზე იანუშმა უკვე უბრძოლველად გაუსწრო მეტოქეს. ფინელი ნელ-ნელა ჩამორჩა, ფინიშამდე 50 მეტრიღა რჩებოდა. ლიდერმა შეანელა სირბილის ტემპი და მოიხედა, ისო-ჰოლო 20 მეტრით ჩამორჩებოდა მას. მან კიდევ უფრო შეანელა ტემპი და თითქმის ძუნძულით გადაკვეთა ფინიშის ხაზი, წამმზომი 30.11,4-ზე გაიყინა. მეორე იყო ისო-ჰოლო. ბოლო წრე იანუშმა 60,4 გაირბინა.

ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ, გამარჯვებულმა აღარ იცოდა რა ექნა. პირველ წუთებში სიხარულის გამოსახატავად ძალაც კი არ ჰქონდა. სურდა ფეხსაცმელები გაეხადა, მაგრამ ასეთი სიამოვნების უფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა, კიდევ რამდენიმე წამი და იანუშმა დაინახა ტრიბუნები, ფეხზე მდგარი მაყურებლები, რომლებიც ტაშს უკრავდნენ პირველ პოლონელ ოლიმპიურ ჩემპიონს. ყველაზე მეტად, რასაკვირველია, პოლონელთა დელეგაციის ტრიბუნა ხმაურობდა. დამარცხებული ისო-ჰოლო წყნარად მივიდა ახალ ჩემპიონთან და ხელი ჩამოართვა, შემდეგ მასთან ლეჰტინენი, ვირტანენი და სხვა მორბენლებიც მივიდნენ.

ფეხის ტკივილისაგან იანუშს თვალთ უბნელდებოდა. მიკროფონთან ძლივს წარმოთქვა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე პოლონეთის სპორტის ისტორიაში".

გასახდელში კუსოჩინსკიმ დასისხლიანებული ფეხების შეხვევაც კი ვერ მოასწრო, რომ დასაჯილდოვებლად გამოიძახეს. კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე იდგა იანუშ კუსოჩინსკი, ორკესტრი პოლონეთის ჰიმნს ასრულებდა. ჰიმნის დამთავრების შემდეგ იანუშს ოქროს მედალი გადასცეს. ეს იყო უკანასკნელი ოლიმპიური თამაშები, რომლის გამარჯვებულები ნამდვილი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

იანუშს უხაროდა, რომ ის მაშინ ერთადერთი სპორტსმენი იყო მსოფლიოში, რომელმაც შეძლო ფინელების დამარცხება გრძელ დისტანციაზე რბენაში. მით უმეტეს, რომ წინა ოლიმპიადებზე ფინელებს ფაქტიურად არცა ჰყოლიათ მეტოქეები.

ამ წარმატების შემდეგ, კუსოჩინსკიმ კიდევ ბევრჯერ იზეიმა გამარჯვება, მაგრამ დაშავებულმა მუხლმა, რომელიც მას მუდამ აწუხებდა, ხელი შეუშალა მონაწილეობა მიეღო 1936 წელს, ბერლინში გამართულ XI ოლიმპიადაში და იგი იქ მაყურებლის როლში იყო.

15 იანვარს იანუშ კუსოჩინსკის დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. ის იყო სპორტსმენი, რომლის სახელიც ლეგენდად შევიდა მძლეოსნობის ისტორიაში, რომელსაც ამშვენებენ ფინელი პაავო ნურმი, ამერიკელი ჯესი ოუენსი, ეთიოპიელი აბებე ბიკილა, საბჭოთა სპორტსმენი ვლადიმერ კუცი და მრავალი სხვა. კუსოჩინსკის გამარჯვების აღსანიშნავად გამოიცა საფოსტო მარკა, რომელზეც გამოსახულია სტადიონის ბილიკები და მორბენლის სილუეტი.

არანაკლებ გმირული იყო მისი ცხოვრების გზა. მან როგორც ღირსეულმა მოქალაქემ, სამშობლოს ბედნიერებას შესწირა თავი. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში იგი თავდადებით იბრძოდა ჰიტლერელთა წინააღმდეგ. ომის დაწყებისთანავე მოხალისეთა არმიაში ჩაეწერა. ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს მძიმედ დაიჭრა, მაგრამ დავალება მაინც შეასრულა. იგი ჯვრის ორდენით დააჯილდოვეს. შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი, გესტაპოელებმა სასტიკად აწამეს. სახელოვანი სპორტსმენი-ანტიფაშისტი, გესტაპოელთა საპყრობილეში თვით ჰიმლერის ხელში იყო. 1940 წლის 21 ივნისს, 50 პოლონელ მებრძოლთან ერთად ი. კუსოჩინსკი ჰიტლერელებმა პალმირას ტყეში, ვარშავასთან ახლოს დახვრიტეს. „გაუმარჯოს პოლონეთს!" წარმოსთქვა მან უკანასკნელად. მისი ძმებიც, რკინიგზელის ოჯახში აღზრდილნი, სამშობლოსათვის იბრძოდნენ.

იანუში ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ბრძოლისა და შრომის უნარით. „შეუპოვრობა, რწმენა საკუთარი თავის მიმართ, მისწრაფება გამარჯვებისაკენ — ამ სამ თვისებას ძალუძს სასწაული მოიმოქმედოს" — ეს სიტყვები მისი ცხოვრების დევიზი იყო.

სწორედ გამარჯვებისაკენ, სრულყოფისაკენ სწრაფვამ, დაუშრეტელმა ენერგიამ შეაძლებინა მას შეუძლებელი. იგი იყო პოლონეთის ცხრაგზის რეკორდსმენი 5000 მეტრზე რბენაში, სამგზის — 10000 მეტრზე, მსოფლიო რეკორდსმენი (3000 მ), პოლონეთისა და 30-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი.

იგი თითქმის მწვრთნელის გარეშე ვარჯიშობდა და ხელმძღვანელობდა მხოლოდ ფინელთა მეთოდებით. შემდეგ, მსოფლიოში პირველმა გამოიყენა ახლა კარგად ცნობილი ვარჯიშის ინტერვალური მეთოდი, რისი მეშვეობითაც მან შეიძინა საჭირო სიჩქარე და ძლიერი ფინიშის უნარი სირბილის დროს. იგი მეტწილად წამმზომით ხელში დარბოდა, როგორც ვარჯიშზე, ისე შეჯიბრებებზეც. უჩვეულო წარმატებას მიაღწია — იმ დროისათვის მსოფლიოს ყველა საუკეთესო მორბენალი (ნურმის გარდა) დაამარცხა. მას აცხადებდნენ ნურმის ოფიციალურ მემკვიდრედ, რადგან დაამხო ნურმის ორი მსოფლიო რეკორდი, მაგრამ ლეგენდარული ფინელის სარბენ ბილიკზე დამარცხება, როგორც უკვე ითქვა, მაინც ვერ შეძლო.

ვარშავაში არის კუსოჩინსკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, 1953 წლიდან მის სახელს ატარებს დედაქალაქის ერთ-ერთი სტადიონი, პოლონეთში ყოველწლიურად ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი მძლეოსნობაში — იანუშ კუსოჩინსკის მემორიალი.

მასალა მოამზადეს
**გიორგი და შალვა კოკოჩაშვილებმა.**

# კახა წაქაძე მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს

**2-8 თებერვალს** იტალიაში გაიმართება იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოვა ბაკურიანელი კახა წაქაძე, რომელიც სტაბილურად ასპარეზობს ახალ სპორტულ სეზონში. კახამ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური ვოროხტაში, საკავშირო შესარჩევ ტურნირში გამარჯვებით მოიპოვა. ჩვენმა „მფრინავმა მოთხილამურემ" 206,3 ქულა მოაგროვა და კონკურენტებს შესამჩნევად გაუსწრო.

# შვეიცარიელთა უპირატესობით

ავსტრიის სამთო ცენტრებში — შვარცენბურგსა და მელაუში ჩატარდა სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სწრაფდაშვებასა და სლალომში, ვაჟები კი გარმიშ-პარტენკირხენში (გფრ) ასპარეზობდნენ სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა შორის სლალომის ტრასა ყველაზე უკეთ განვლო ამერიკელმა თ. მაკკინიმ, ხოლო ვაჟთა შორის სუპერგიგანტში დასავლეთგერმანელმა მ. ვასმაიერმა გაიმარჯვა, კვლავ საგრძნობი იყო შვეიცარიელ მოთხილამურეთა საერთო უპირატესობა. სწრაფდაშვებაში ქალთა შორის პირველი იყო 22 წლის შვეიცარიელი ბ. ჰაფნერი — სეზონის დებიუტანტი, მისი თანამემამულე პ. ცურბრიგენი კი შეუდარებელი გახლდათ ვაჟთა შორის. ახლა იგი ლიდერობს საერთო ჩათვლაში. ქალებში პირველ ადგილს ინარჩუნებს ასევე შვეიცარიელი ფ. შნაიდერი. საინტერესოა, რომ მომდევნო სამ ადგილზეც მისი თანამემამულეები არიან.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06724